ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №300196

ნომერი: AR171142

თარიღი : 04.08.2012

გაცემის თარიღი : 08.08.2012

გაცნობის თარიღი : 11.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , გასწვრივ / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი / ქალაქი თბილისი , აღმაშენებლის ხეივანი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მურმან ისაევი პ/ნ 01025007733
- თბილისი კრწანისის ქ. კორ. 3ა ბ. 24

ორგანიზაცია:
- შპს ემბავუდ ჯორჯია კოდი: 204379975

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

08.06.12 წ. №204981 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისისმერიისსსიპ–ქალაქთბილისისარქიტექტურისსამსახურისმიერდამტკიცებულსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებში ცვლილებისადადამატებისშეტანისთაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08/04/2012 წ. №171142 განცხადებით ომართა მურმან ისაევმა და მოითხოვა სამსახურის 08.06.12 წლის №204981 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 08.06.12 წ. №204981 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში, შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს კუთვნილ 1595კვ.მ. №№01.72.14.034.496 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საკადასტრო ერთეულზე დატანილ იქნა განაშეანიენების რეგულირების ხაზი.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, რომლის თანახმადაც საპროექტო მიწის ნაკვეთს შეეცვალა ფართობი და საკადასტრო კოდი (რეგისტრაციის ნომერი: N 882012354484 - 02/08/2012 წ. 01.72.14.034.708 საკადასტრო კოდი. საკადასტრო გეგმის რეგისტრაცია №882012354484, 30.07.12 წ.).
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 08.06.12 წ. №204981 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი: N 882012354484 - 02/08/2012 წ. 01/72/14/034/708 საკადასტრო კოდი. საკადასტრო გეგმის რეგისტრაცია №882012354484, 30.07.12 წ.);
2. შევიდეს ცვლილება 08.06.12 წ. №204981 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საკადასტრო კოდი მიეთითოს 01/72/14/034/708, მიწის ნაკვეთის ფართობი 1677.00 კვ.მ;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას 08.06.12 წ. №204981 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
4. სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.